**N**ONA ELOEVA besucht seit 2000 unsere Versöhnungskirche. Sie wurde von Pastor Harry Asikow konfirmiert und ist eines unserer aktivsten Gemeindeglieder geworden. Die lutherische Kirche war ihr im Geiste immer nah und zog sie so stark an, dass sie jeden Sonntag bei jedem Wetter zum Gottesdienst kam und dabei im öffentlichen Verkehr mehrmals umgestiegen ist. Seitdem Nona ins Saltet Haus neben der Kirche umgezogen ist, kann sie nun problemlos den Gottesdienst besuchen und daran aktiv teilnehmen. Sie braucht keine Einladung, weil sie schon lange vor dem Beginn des Gottesdienstes da ist. Deshalb wenden sich unsere Pastoren oft an sie mit der Bitte um Hilfe beim Vorlesen der biblischen und liturgischen Texte auf Georgisch. Nona kennt die ganze Liturgie bereits auswendig und trägt diese mit einem großen Einfühlungsvermögen vor. Genauso eindringlich und ausdrucksvoll liest sie die Bibel vor. Nona ist eine tiefgläubige Frau. Davon zeugen sowohl ihre wunderbaren geistlichen Artikel, die im Laufe von verschiedenen Jahren in unserem "Kirchenboten" veröffentlicht wurden, als auch ihre Beiträge im Rahmen von kirchlichen Veranstaltungen. Man kann sagen, dass Nona eine außerplanmäßige Mitarbeiterin unseres "Kirchenboten" ist, und wir sind ihr sehr dankbar für ihre Mithilfe bei der Redaktion georgischer Texte. Nona gehört zu den Menschen, deren Seele sich um die Kirche und die Diakonie sorgt, und gebe Gott, dass es bei uns mehr solcher Menschen gibt.

Liebe Nona, wir wünschen Ihnen Gottes Segen für viele Jahre, Gesundheit, ein aktives Leben und gute Gemeinschaft mit Freunden.

*Pastorin Irina Solej, Elena Ilinets*

**W**ir gratulieren von ganzem Herzen unserer lieben **ELENA MANUKOWA** zum runden Geburtstag!

Wir hören oft die Worte: «Gott erwählt uns zum Dienst. Er leitet uns und gibt uns Kraft». Diese Worte kann man getrost auf unsere liebe Elena beziehen.



Elena Manukowa ist vor langer Zeit in unsere Kirche gekommen. Ob sie wohl damals, als ihre Töchter Ilona und Jana von Bischof Prof. Gert Hummel konfirmiert wurden, daran dachte, dass sie selbst einmal eine bedeutsame Persönlichkeit für unsere Kirche werden würde? Natürlich nicht! Sie besuchte stets bescheiden die Gottesdienste, hat sich nie über andere erhoben, hat nie “die Ellenbogen ausgefahren”, sich in den Vordergrund gedrängt. Sie hat stets versucht, ihren bescheidenen Beitrag zum Leben der Gemeinde zu leisten, hat ihre eigene Meinung und ist geduldig und überzeugend für ihre Position eingetreten, ohne dabei jemanden herabzusetzen oder

zu beleidigen. Die Gemeinde hat ihre Rechtschaffenheit geschätzt und hat sie in den Gemeinderat gewählt, danach wurde sie Vorsitzende des Gemeinderats und Mitglied der Synode. So hat Gott sie zu einem wichtigen Dienst in der Kirche berufen und sie trägt diese nicht leichte Bürde bis zum heutigen Tag würdevoll auf ihren Schultern.

Es lohnt sich zu erwähnen, dass Elena Manukowa seit dessen Gründung im Kirchenchor singt und ihre Stimme erfreut uns mit ihrem herrlichen Klang. Besonders wertvoll ist, dass Elena immer geradlinig ist und sie die Interessen der Gemeinde stets würdig vertritt. Die Dienstpflicht lässt sie mit vielen unterschiedlichen Menschen in Kontakt kommen und sie erreichen dabei aufrichtige Worte des Dankes, aber auch beleidigende, ja sogar grobe Äußerungen. Sie bleibt dabei aber immer ruhig und bemüht sich, jedes Herz zu gewinnen, geduldig zu erklären, bisweilen Binsenweisheiten, zu überzeugen, und nach Kräften Hilfen durch die Gemeinde zu leisten.

Liebe Lena! Du bist ein wunderbarer Mensch und eine fürsorgliche Mutter und Großmutter. Bleib immer so! Behüte dich Gott! Gott möge dir seinen Segen schenken und dir Kraft und Stärke geben für deinen nicht leichten Dienst.

*Pastorin Irina Solej, Elena Ilinets*

## 2021 წლის ღონისძიებები:

### იყავით გულმოდგინად, დახმარდით გულმოდგინად მამა თქვენი

ლუკას სახარება 6, 36

ახალი წელიწადი რამდენიმე კვირის წინ დაიწყო. გასული 2020 უცნაური წელი იყო. სავარაუდოდ არც 2021 იქნება ნაკლებად უცნაური. წლებს შორის გარდამავალი პერიოდი დაფიქრებისთვის საუკეთესო დროა. ჩვენ გასულ წელს ვაჯამებთ და ამავდროულად მომავალ ახალ წელს გავყურებთ. აქ შლეზიელი თეოლოგის, ჟურნალისტის, მწერლისა და პოეტის იოხან კლეპერის ლექსი უნდა გავიხსენოთ, რომლის ტექსტზეც არის შექმნილი საგალობელი ჩვენს კრებულში. იოხან კლეპერი 1903 წელს ქვემო შლეზიაში დაიბადა, მოგვიანებით ის ბრესლაუში და ბერლინში ცხოვრობდა, სადაც 1942 წელს გარდაიცვალა.

მისი ლექსი “ვისაც დრო ხელში გიპყრია” პირველად 1938 წლის 1 იანვარს ბერლინში გახეთ “დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგში” ახალი წლის სიმღერის რუბრიკაში გამოქვეყნდა. ამ ლექსში იოხან კლეპერი გასულ წელს იხსენებს და ამ წლის “ტვირთზე” საუბრობს. ეს მხოლოდ სიტყვები როდია. იოხან კლეპერს ავიწროვებდნენ, რადგან მისი მეუღლე იოჰანა შტაინი ებრაული ოჯახიდან იყო. სწორედ ამიტომ კლეპერი 1937 წელს რეისის მწერალთა პალატიდანაც კი გარიცხეს, რაც ფაქტობრივად პროფესიის აკრძალვის და უმუშევრად დარჩენის ტოლფასი იყო. ამგვარად, ბურუსით იყო მოცული მისი და მისი ოჯახის მომავალი. ყველა სიმძიმის და ბუნდოვანების მიუხედავად, იოხან კლეპერმა იცოდა: ღმერთის ხელთ არის ყველა დრო-ჟამი, როგორც ეს 30-ე ფსალმუნშია (15. 16ა) ნათქვამი: “მე კი შენზე ვარ დაიმედებული, უფალო, ვთქვი: “შენა ხარ ჩემი ღმერთი”. შენს ხელთ არის ჩემი დრო-ჟამი”.

1. “შენ, ვის გიპყრია შენს ხელთ დრო, / შენ გვიპყრის ჩვენ ქრისტეს გზა, / რომელიც გვასწავლავს შენ. / და მოგვაც კვლავაც წყალობა, / რათა გავხვდეთ ის ბოლომდე, / შენ გვასწავლავს გზა სხნისა.”

რამდენად მსხვერპელი და მოწყვლადია ჩვენი სიცოცხლე, ამაში გასულ წელს დავრწმუნდით. ბევრი რამ, რაც აქამდე თავისთავად ცხადი გვეგონა, დღეს შეუძლებელი ჩანს. გვემებს ვაწყობდით, ვფიქრობდით, ცხოვრება ძველებურად გაგრძელდებოდა და უცებ დავინახეთ, რომ ამქვეყნად არაფერია მუდმივი. ყველაფერი ცვლილებებს ექვემდებარება. ის, რაც გუშინ მყარად და უცვლელად გვეჩვენებოდა, დღესდღეობით მოძველებულია და წარსულს ჩაბარდა. ძველი კაბის მსგავსად გასაანსლებელია. ჩვენი დედამიწაც თავისი შიგთავსით წარმავალი და ცვლადი ყოფილა. 101-ე ფსალმუნში (25ბ-28) ვკითხულობთ: “შენ ერთს შეგიძლია სრულქმნა. ჩვენ რომ წამოვიწყებთ საქმეს, თუ არა შენი ნება, სამყარო გაქრება თვალწინ და მასთან ერთად ის წლებიც, რომ გვიწყალობე, დამერთო. ვინ არის, ვინც გაუძლო დროს, ვინ არის, ვინც არსად მიდის, მარადიული შენ ხარ. და მხოლოდ შენა ხარ ყველგან. ჩვენ, ქარში მარტო შთენილნი, ისევ ვბრუნდებით შენთან.”

2. შენ ერთს შეგიძლია სრულქმნა. / ჩვენ რომ წამოვიწყებთ საქმეს, / თუ არა შენი ნება, / სამყარო გაქრება თვალწინ / და მასთან ერთად ის წლებიც, / რომ გვიწყალობე, დამერთო.
3. ვინ არის, ვინც გაუძლო დროს, / ვინ არის, ვინც არსად მიდის, / მარადიული შენ ხარ. / და მხოლოდ შენა ხარ ყველგან. / ჩვენ, ქარში მარტო შთენილნი, / ისევ ვბრუნდებით შენთან.



ყველაფერი იცვლება, ყველაფერი წარმატებულია. ჩვენ, ადამიანებმა ვიცით: თუ მარტო საკუთარი ძალების იმედად ვიქნებით, მარტო საკუთარ შესაძლებლობებს მივუდებით, შორს ვერ წავალთ. ასე რომ იყოს, დასასრული სადღაც აქვე იქნებოდა. ბოლოს ხელცარიელები აღმოვჩნდებოდით. მაგრამ ადამიანის სიცოცხლე მისი საკუთარი ძალისხმევის ჯამი როდია. ადამიანის სიცოცხლე, პირველ რიგში, საჩუქარია: ღმერთის საჩუქარი. ჩვენი სიცოცხლე მისგან მოდის. მისი გულმოწყალებით, მისი წყალობით იზრდება და იფურჩქნება ჩვენი სიცოცხლე, იძენს ფასს და ღირსებას. იოხენ კლეპერის ლექსში ვითხულობთ:

**4. ჩვენ, კაცნი ვერ ვაფასებთ დროს, / შენ ხარ შეუცვლელი მხოლოდ, / მხოლოდ შენ განკარგავ დროს. / და თუმცა ვიმსახურებთ რისხვას, / შენ მაინც ხარ წყარო მადლის, / დაუმრეტელი ჩვენთვის.**

და ეს ძღვენი, ღვთის გულმოწყალება, ჩვენი ამქვეყნიური დღეების „ფასი და საზომი“ უნდა იყოს, როგორც იოხენ კლეპერი ამბობს. ღვთის გულმოწყალება ხომ ჩვენი სიცოცხლის წყაროა. შეიძლება აუცილებელია იმ ყველაფრის წართმევით გამოწვეული შეძრწუნება, რაც ასე ძვირფასია ჩვენთვის იმის გასაგებად, რა არის ცხოვრებაში მთავარი: არა ის, რაც გაგვიჩნია, არამედ ის, რასაც ვიღებთ და სხვებს გადავცემთ. 2021 წლისთვის განკუთვნილი სიტყვები სწორედ ამ მიმართულებით არის წარმოთქმული. ის ლუკას სახარებიდან მომდინარეობს და მასში ნათქვამია: “იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც გულმოწყალეა მამა თქვენი”. გულმოწყალება, რომელსაც ღმერთისგან ვიღებთ და რომელზეც დგას ჩვენი სიცოცხლე, სხვა ადამიანებს უნდა გადავცეთ.

პანდემიის პირობებში ბევრ რამეს თვითონ ვერ ვწყვეტთ. დამოკიდებული ვართ ვირუსის გავრცელებაზე, ვაქცინის მოქმედებაზე, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ, ყოველდღიურობაში შემოღებულ წესებზე და შეზღუდვებზე. ამ ყველაფერზე ჩვენ მცირედი გავლენის მოხდენა თუ შეგვიძლია და გარე ფაქტორებზე ვართ დამოკიდებული. თუმცა ერთი რამ ჩვენს ხელთაა: კრიზისის დროს ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმა. “იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც გულმოწყალეა მამა თქვენი”. გულმოწყალება იმაში გამოიხატება, როგორ მოვიქცევით ჩვენივე შეცდომების და ხელიდან გაშვებული შანსების პირობებში: რომ უნდა ვიყოთ მოწყალენი საკუთარი თავის და სხვების მიმართ. რომ უნდა მივიღოთ ღვთის



გულმოწყალება და სხვა ადამიანებისთვისაც არ დავიშუროთ ის. გულმოწყალება უნდა იყოს ჩვენი ქმედებების საზომი და ფასი.

**5. ნიჭი მომეცი, უფალო, / რომ შეკვივრძნო ყოველი დღე / შენგან გამეტყულები. / დრო ფუჭად გატარებული / დღე წარსულში გარდასული, / არ დაბრუნდება უკან.**

არასტაბილურ დროში გვიწევს ცხოვრება. ჩვენ არ ვიცით, ახალი წელიწადი რას გვიმზადებს. იოხენ კლეპერიც მძიმე დროში ცხოვრობდა. მისი და მისი ოჯახის საარსებო სივრცეც დღითიდღე პატარავდებოდა. მათთვის ახალი იმედები და პერსპექტივები არ ჩანდა. თუმცა მან იცოდა და ეს ნდობა ტრაგიკულ სიკვდილამდე მიაცილებდა: ყველა ცვლილების და ყველა გასაჭირის მიუხედავად ღმერთი მუდმივი რჩება. ის არის ჩვენი სიცოცხლის საწყისი, მიზანი და ცენტრი. და თუ მის გულმოწყალებას მივუდებით, თუ მის ხელს გავყვებით, არასტაბილურ დროშიც შევინარჩუნებთ მხნეობას და ახალ წელიწადშიც იმედიანად შევაბიჯებთ. ამინ.

**6. შენ ერთმა იცი, უკვდავმა / ჩვენი საწყისი და ბოლო / წლების უღმობელ ქარში. / დარჩი ჩვენს გვერდით, კეთილო, / და მოგვკიდე სელი, რომ ჩვენ / იქედით წიხსვლა შევძლოთ.**

ეპისკოპოსი მარკუს შონი

## ლოცვა ქრისტიანთა ერთიანობისათვის 2021

**აჰა. რა კარბია ღა რა საამურია,  
ერთად რომ ცხოვრობენ კმეზი**

ფს. 132,1

“ღარჩით ჩემს სიყვარულში და გამოიღებთ უხვ ნაყოფს“ (იოანე 15.8-9) - წლებანდელი ეკუმენური ლოცვის ეს დევიზი მოუწოდებს ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებს, ილოცონ და იღვაწონ ქრისტიანთა შერიგებისა და ერთიანობისათვის.

საქართველოში ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვის კვირეულის ჩატარების ტრადიციას გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. თითქმის მეოთხედი საუკუნის



მანძილზე ეკუმენური ლოცვები ტარდებოდა წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ტაძარში. იმ პერიოდის ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ აღნიშნული ტაძრის მრევლი იღებდა მონაწილეობას. პირადად მე 1986 წლიდან სისტემატურად ვმონაწილეობ ერთიანობის ლოცვებში და ქრისტიანთა ერთიანობისკენ მიმართულ ამ მნიშვნელოვან ტრადიციას არა ერთი სტატია მივუძღვენი.

ზუსტად 21 წლის წინ, საქართველოში მოქმედი რომის კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-ბაპტისტური და სომეხთა სამოციქულო ეკლესიების მღვდელმთავართა ძალისხმევით, ყოველწლიური ეკუმენური ლოცვების ორგანიზებისათვის საგანგებო ჯგუფი შეიქმნა და 2000 წლიდან ეს ოთხი ეკლესია, თავიანთ მღვდელმსახურთა, სამრევლო გუნდებისა და მორწმუნეთა ჩართულობით, სისტემატურად ატარებს ერთიანობის ლოცვებს. პირველ ეტაპზე იყო გარკვეული წინააღმდეგობები, 2003 წელს რადიკალურმა ჯგუფებმა სცადეს, ხელი შეეშალათ ლოცვის ჩატარებისათვის და პირდაპირი მნიშვნელობით დაარბიეს ბაპტისტური ტაძარი, მაგრამ საქართველოში აკრედიტებული ელჩების აქტიური მხარდაჭერით ხელისუფლება იძულებული გახდა, აელაგმა რადიკალურ მორწმუნეთა თარეში და ბაპტისტურ ტაძარში ეკუმენურ ლოცვას იმჟამინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პირადად დაესწრო. შემდგომ წლებში ეკუმენურ ლოცვებს ყოველთვის ესწრებოდნენ მთავრობის

წარმომადგენლები და პარლამენტარები, სხვადასხვა რელიგიების ლიდერები. ეკუმენური ლოცვა შეუქდებოდა მედიის მიერ. 2012 წლიდან ხელისუფლების მიერ ეკუმენურ ლოცვებში მონაწილეობის ტრადიცია რატომღაც ნულზე დავიდა, თუმცა ამას სრულიადაც არ უმოქმედია ლოცვაში მონაწილეთა ჩართულობასა და აქტიურობაზე, რადგან ვისაც სწამს და სურს ქრისტიანთა ერთიანობა, მას ღვთის იმედი აქვს და დაყრდნობილია არა ხელისუფალთა კეთილ ნებასა და პოლიტ-კონიუნქტურაზე, არამედ ამ რწმენაზე.

გასულ საუკუნეში ზოგიერთმა ფსევდო-ტრადიციონალისტმა „ეკუმენურობა“ და „ეკუმენისტი“ საღანძღავ ტერმინად აქცია. ანტიეკუმენისტები საზოგადოებას იმ არგუმენტებით აფრთხობენ, რომ თითქოს ქრისტიანთა ერთობის მომხრეებს ყველა არსებული ეკლესიისა და დენომინაციის ფორმალური გაერთიანება სურთ, რაც სრული სიცრუეა. ეკლესიათა შორის ერთიანობის მხარდამჭერებს შორის საერთოდ არ განიხილება უკვე ჩამოყალიბებული ეკლესიების ერთ ეკლესიად ან ახალ კონფესიად გაერთიანება. ცხადია, რომ უკვე ჩამოყალიბებული ეკლესიები კი არა, ეკლესიის შიგნით არსებული ჯგუფებიც კი ერთ ეკლესიად აღარ გაერთიანდებიან. ქრისტიანთა ერთიანობის მომხრეთა მიზანს ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი კედლების დანგრევა და არსებული უნდობლობის აღმოფხვრა წარმოადგენს, რათა სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანები ერთმანეთს მტრებად, მოწინააღმდეგეებად კი აღარ განიხილავდნენ, არამედ ერთად, ქრისტეს მიერ ამჟამად სიყვარულში არსებობდნენ და თანამშრომლობდნენ და თუ არ ითანამშრომლებენ, ერთმანეთს მაინც აღარ დაუპირისპირდნენ. ქრისტიანთა ერთიანობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი კი ხსნის (დახსნის) შესახებ რომის კათოლიკე და ევანგელურ-





ლუთერულ ეკლესიებს შორის ამ 20 წლის წინ გაფორმებული შეთანხმებაა, რომელმაც მთელი 500 წლის მანძილზე ამ ორ ეკლესიას შორის არსებული დაპირისპირება მოაგვარა. ეს შეთანხმება ადასტურებს, თუ როგორი მნიშვნელოვანია ქრისტიანებისათვის ერთობა, ლუთერანებსა და კათოლიკეებს შორის მიღწეული შეთანხმება კი საუკეთესო მაგალითია სხვა ქრისტიანული ეკლესიებისათვის. როდესაც ბოლო ათწლეულებში კათოლიკე და ლუთერული ეკლესიების დაახლოებაზე ვსაუბრობთ, მინდა გავიხსენო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ამდღორძინებელი და პირველი ეპისკოპოსი პროფესორი დოქტორი გერტ ჰუმელი. მისი მოღვაწეობის თვალსაჩინო ნაყოფია თბილისის შერიგების საკათედრო ტაძრის აგება და სამ მეგობარ ეპისკოპოსთან ერთად ქრისტიანთა ერთიანობის ღოცვის საორგანიზაციო ჯგუფის დაფუძნება, სწორედ ამ ეკლესიათაშორისი ჯგუფის მიერ წელს უკვე ოცდამეერთედ აღევლინა ეს ღოცვა.

მსურს მადლობა გამოვთქვა წლებგანდელი ეკუმენური ღოცვის მასპინძლებს: საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას და პერსონალურად ეპისკოპოს მარკუს შოხს და პასტორებს ირინა სოლეის, ვიქტორ მირომნიჩენკოს, ალბინა ზოტოვას და მქადაგებელს თემურ ბარდაველიძეს. ეკუმენური ღვთისმსახურების ტრანსლაცია ინტერნეტში საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა ჩვენი ყოველწლიური ღოცვა, კოვიდ-პანდემიის შეზღუდვების მიუხედავად, და სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეებს ჩართული ყოფილიყვნენ ამ ღონისძიებაში. ეს იმის დასტურია, რომ კოვიდი ვერ მოგვპარავს ვერც ქრისტიანთა ერთიანობისთვის ღოცვას და ვერც ერთიანობის სულისკვეთებას.

ნუგზარ ბარდაველიძე,  
კათოლიკური ჟურნალის „საბა“-ს რედაქტორი

## უობა 2020 საქართველოს და სამხრეთ კავკასიის კვანძგაიურ-ლუთერულ კკლესიაში

რკგვეშინია და სახლიდან გასვლას არ ვაპირებთ, ამიტომ ეკლესიაში ღვთისმსახურებებსაც არ ჩავატარებთ. მართლაც, ნოემბრის ბოლოს, როდესაც საქართველოში საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა მუშაობა შეწყვიტა, სამრევლოებში ღვთისმსახურებების ჩატარება შეუძლებელი გახდა. მეორეს მხრივ, მსგავსი გამოცდილება გასული წლის გაზაფხულზე პანდემიის პირველი ტალღის დროს გვექონდა. ახლაც, პანდემიის მეორე ტალღისას იგივე პრინციპები მუშაობდა: ეკლესია კვირაობით არ დაიკეტებოდა და ცარიელი არ დარჩებოდა, მრევლის წევრებს კი სულიერი თანადგომა არ მოაკლდებოდათ. ჩვენ განვაახლეთ ვიდეო-ლოცვების პრაქტიკა და გავაუმჯობესეთ ის. ჩანაწერების მომზადებაში ჩაერთეთ სხვა სამრევლოებიც რუსთავში, ბოლნისში, ბაქოში, გარდაბანსა და ბორჯომში. ჩვენს ვიდეოებს კვირაობით არა მხოლოდ თბილისის შერიგების ეკლესიაში ვაჩვენებდით, არამედ რუსთავის მშვიდობის ეკლესიაშიც, სადაც მრევლის წევრების პატარა ჯგუფი იკრიბებოდა. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ტექნიკოსს დავით ჯანდიერს

Второй Адвент



ბრწყინვალე გადაღებისთვის და ვიდეო-ღვთისმსახურებების დამუშავებისთვის, ასევე ჩვენს შესანიშნავ მუსიკოსებს საბა დამენიასა და თამუნა ჩაგანავას.

თბილისის, რუსთავისა და ბოლნისის საკვირაო სკოლებმა ონლაინ მეცადინეობის ახალი ფორმა შეიმუშავეს: ყოველ შაბათს ბავშვები მობილურ ტელეფონებთან და კომპიუტერებთან იკრიბებოდნენ და მათ მასწავლებლები ბიბლიის, ხელგარჯილობის, გერმანულის და მუსიკის გაკვეთილებს ზუმის კონფერენციის ფორმატში უტარებდნენ. იმედი გვაქონდა, რომ 24 და 25 დეკემბერს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა აღდგებოდა და ჩვენ ტრადიციული საზეიმო ღვთისმსახურების ჩატარებას შევძლებდით. და მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის მუშაობა არ აღდგა, დღესასწაული მაინც მოვაწყვეთ. ყველაფრის მიუხედავად! “ღვთის მოყვარეთ, რომელნიც მისი განზრახვით არიან ხმობილნი, ყველაფერი შეეწევათ სასიკეთოდ“ (რომ. 8, 28).

შობის წინა დღეს, 16.00 საათზე შერიგების ეკლესიაში საოჯახო ღვთისმსახურების ჩასატარებლად ყველაფერი მზად იყო: ეკლესიას ლამაზი, სადღესასწაულო სანთლებით მორთული საშობაო ნაძვის ხე ამშვენებდა, ბეთლემის ვარსკვლავი ანათებდა. უჩვეულო იყო: დიდი ეკრანის წინ ეპისკოპოსი მარკუს შოხი კომპიუტერთან იჯდა, რომელიც ეკრანზე ასახავდა, რაც ეკლესიის დარბაზში ხდებოდა, ეკლესიის ოფისში კი ელენა ილინეცი კომპიუტერიდან





მართავდა სიმღერების ტექსტების, ლუკას სახარების საშობაო ისტორიის სურათების, ლოცვების, ნახატების და ბავშვების ვიდეო-მილოცვის გაშვებას, რომელიც მათ ინტერნეტით გამოგვიგზავნეს. ბოლოს ეკლესიის დარბაზში რამდენიმე ოჯახმა მოიყარა თავი ბავშვებთან ერთად, ეკრანზე კი რამდენიმე ფანჯარა აინთო, რომლებშიც ერთმანეთის მიყოლებით ბავშვების სახეები გამოჩნდა. პასტორი ირინა სოლელი ყველას მიესალმა, გაიუღერა პირველი სიმღერების მელოდიამ საბა დამენიას (ფორტეპიანო) და საშა შუბინის (ფლეიტა) აკომპანიმენტით, ეკრანზე კი სიმღერის ტექსტი გამოჩნდა. . . ასე დაიწყო საოჯახო ღვთისმსახურება. ჩვენი ეკლესიის ისტორიაში პირველად ავღნიშნეთ ეს დღესასწაული უჩვეულო, „ჰიბრიდული“ ფორმით: ეკლესიაში შეკრებილი და სახლებიდან ინტერნეტით ჩართული ბავშვებით. ამასთან სადღესასწაულო სიტყვებს ვუსმენდით და ჩვილი იესოს საჩუქრებს ვუყურებდით, რომლებიც თბილისის, რუსთავისა და ბოლნისის საკვირაო სკოლის ბავშვებმა მოამზადეს. რთულ დროში ეს ერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. აქვე უნდა დავძინო, რომ საშობაო საჩუქრები როგორც ეკლესიაში შეკრებილმა ბავშვებმა მიიღეს, ისე კომპიუტერის „ფანჯრებში“ მსხდომებსაც სახლებში გავუგზავნეთ.

შობის დღესასწაული იმათ შეიგრძნეს, ვინც 24 დეკემბერს, შობის წინა საღამოს 18.00 საათზე ეკლესიაში შეიკრიბა. ეპისკოპოსმა მარკუს შოხმა მედიტაციური ღვთისმსახურება



ჩაატარა გერმანულ ენაზე, რომელსაც სხვა სტუმრებთან ერთად გერმანიის ელჩი ჰუბერტ კნირში ოჯახით და რელიგიური საკითხების სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ესწრებოდნენ და მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ. სადამოს ბოლოს სტუმრებს ეკლესიის ეზოში ტრადიციული გლინტვეინი და საშობაო ნამცხვრები ელოდათ. სადღესასწაულო ღვთისმსახურება ზიარებით 25 დეკემბერს შობის დაგვირგვინება იყო. მასში 30-მდე მრევლის წევრი მონაწილეობდა მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადიოდა. მადლობა დმერთს, რომ მოგვცა შესაძლებლობა, ქრისტეს შობის დღესასწაული სრულყოფილად აღგვენიშნა, დმერთი მისი სიტყვებით, ლოცვებითა და სიმღერებით გვედიდებინა, უფროსებისთვის და ბავშვებისთვის სიხარული მიგვენიჭებინა, იმედი დაგვეთესა, სულიერად გავძლიერებულიყავით და ჩვენი ერთობა რწმენაში დაგვემტკიცებინა.

ჩვენი საშობაო ღვთისმსახურებები სამრევლოებში, როგორც წესი, საკვირაო სკოლის ბავშვების სახეიმო კონცერტით სრულდება. ამჯერადაც არ დაირღვა ეს ტრადიცია და ბავშვებმა ნომრები სახლში ჩაწერეს. ნაძვის ხეებთან მღვდომებმა იმღერეს, ფლეიტაზე დაუკრეს, იცეკვეს, ლექსები წავგიკითხეს, საშობაო და საახალწლო სცენები დადგეს. რუსთავის საკვირაო სკოლამ ეს გამოსვლები პატარა ვიდეო-კონცერტად აქცია, რომელმაც მაყურებელი ძალიან გაახარა. ბოლნისელმა და





თბილისელმა ბავშვებმაც არ დაიშურეს ძალ-ღონე, რისთვისაც გულითადი მადლობა ყველას! განსაკუთრებული მადლობა ეპისკოპოს მარკუს შოსს, სულიერ ხელმძღვანელსა და ჩვენი ყველა ღონისძიების მუდმივ სულისჩამდგმელს.



ასე შევძელით, უფროსების და ბავშვების გაერთიანებული ძალისხმევით და გვეძლია პანდემიით გამოწვეული დაძაბულობის და შიშის განწყობა და ჩვენი მრევლის წევრებისთვის ზეციური ანგელოზის გზავნილი შეგვეხსენებინა: “ნუ გეშინიათ; აჰა, მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი. რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი!” (ლუკა 2, 10. 11).

პასტორი ირინა სოღუი

## კორონა გერმანიაში და საქართველოში

ცოლ-ქმარი ჰყვებიან მრავალი წელია, ჩვენს ეკლესიასთან არიან დაკავშირებული. ისინი ყოველ წელს ჩამოდიან საქართველოში ჰომბურგიდან სკოლების გაცვლითი პროექტის ფარგლებში. გარდა ამისა, ცოლიც და ქმარიც “საქართველოს ეკლესიის და დიაკონიის ფონდის” გამგეობის წევრები არიან, რომელიც ჩვენს საეკლესიო და დიაკონურ საქმიანობას ეხმარება.

### საქალაქში მაცნუს კვირვასო მითხვალ!

სრულად გვთხოვა, შორეული გერმანიიდან მოგიტხოვროთ თქვენთვის კორონა-პანდემიის პირობებში ცხოვრების შესახებ. სინამდვილეში სიშორეს არ ვგრძნობთ, ჩვენ ხომ გულით ვატარებთ თქვენს არაჩვეულებრივ ქვეყანაში ყოველწლიური სტუმრობის სიტბოს. იმედის თვალთ შევყურებთ ჩვენს შეხვედრას უახლოეს მომავალში. მანამდე კი ინტერნეტის – ვებ-გვერდის, ი-მედიების, სატელეფონო ზარების და ჰვატსაპ-ის მეშვეობით ვინარჩუნებთ თქვენთან ყოველდღიურ კონტაქტს.

ყველაფერი შეიცვალა: იგრძნობა შიში და არასტაბილურობის განცდა, ყოველდღიურობას შეზღუდვები განსაზღვრავს. როგორია სიტუაცია გერმანიაში? 2020 წლის გაზაფხულის მსგავსად, ნოემბრიდან მოყოლებული ისევ ლოქდაუნია: მალაზიების და რესტორნების უმეტესობა დაკეტილია, კულტურის სფერო არ ფუნქციონირებს, რკინიგზა და ავტობუსები მუშაობს. ფირმები და საწარმოები გაჩერებულია, ადამიანები დისტანციურად მუშაობენ ჰოუმ-ოფისების მეშვეობით. ჩვენთან, ზაარლანდში სკოლების უმრავლესობა დაკეტილია, მხოლოდ დამამთავრებელ კლასებში ხდება ფიზიკურად სწავლება და ტარდება გამოცდები. საბავშვო ბაღები გადაუდებელი საჭიროებებისთვის მუშაობენ. სახლის გარეთ პირბადის ტარება სავალდებულოა, დაშვებულია





ოჯახის არაწევრ მხოლოდ ერთ ადამიანთან შეხვედრა. მოხუცებულთა თავშესაფარში ახლობლების მონახულებამდე სავალდებულოა ტესტირების გავლა. დაკრძალვები ვიწრო ოჯახურ წრეში ხდება. გუნდები რეპეტიციებს ვეღარ ატარებენ, შესაბამისად, ვერც ღვთისმსახურებაზე ან კონცერტებზე მღერიან. ღვთისმსახურებების ჩატარება დაშვებულია, მაგრამ მათზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია. ამიტომ ზოგიერთმა სამრევლომ, მათ შორის ჩვენმა, გადაწყვიტა, დროებით უარი თქვას ღვთისმსახურებების ჩატარებაზე. ზოგან დიგიტალურად ტარდება ისინი, თუმცა ეს უფრო გამონაკლისს წარმოადგენს.

საქართველოს ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიის ვებ-გვერდზე ვხედავთ და ვადარებთ, თქვენი სამრევლოები როგორ უმკლავდებიან ჩვენი დროის გამოწვევებს. გაცოცხლები ვართ, რამდენად მრავალფეროვანი და სიცოცხლით სავსე პროცესები მიმდინარეობს თქვენთან. თქვენ ღვთისმსახურებას ვიდეოზე იღებთ, ფილმებს ამზადებთ, რომლებიც ონლაინ იღება და გერმანიაში იდგენენ კი აღწევს.

თბილისის ვიდეოებში ვხედავთ ეპისკოპოს მარკუს შოხს “რეუისორის” დავით ჯანდიერს ოპერატორის, პასტორებს: ირინა სოლეის, ალბინა ზოტოვას, ვიქტორ მიროშინჩენკოს მთავარი როლის შემსრულებლების ამკლუაში და არაჩვეულებრივ მუსიკოსებს. ჩვენ თქვენთან ერთად ვმონაწილეობდით თქვენს საშობაო ღვთისმსახურებაში. ამ ვიდეო-ღვთისმსახურებების შესახებ ისეთი ხალხიც კი აღაპარაკდა, ვისაც თქვენს ეკლესიასთან შეხება არასოდეს ჰქონია. რა სასიამოვნოა, რომ

სხვა სამრევლოებიც არიან ჩართული ღვთისმსახურებებში და ამასთან საკუთარი პრობლემების მოგვარებას დამოუკიდებლად ცდილობენ.

ვხედავთ, რომ სამრევლო ჯგუფები და ეკლესიის მმართველი ორგანოები ღონისძიებებს ონლაინ ფორმატში ატარებენ. განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდები. შთამბეჭდავია, როგორ უწყობთ ამით ხელს სამრევლო ერთიანობის შენარჩუნებას, აძლიერებთ მრევლს და როგორ მოხერხებულად იყენებთ ტექნიკურ შესაძლებლობებს – “მუდმივ პროგრესში” ხართ და აგრძელებთ ადამიანებში სასიხარულო გზავნილის გავრცელებას, რომელიც ჩვენს არსებობას აზრს, ნუგეშს, სიღრმეს და სტაბილურობას აძლევს.

საქართველოში არსებული მკაცრი შეზღუდვების შესახებ ეპისკოპოსს მოხისგან და ქართველი მეგობრებისგან ვიცოდით. ძალიან ვწუხვართ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ხშირად მძიმე შედეგი მოაქვს. ამით ბევრი ადამიანის მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულდება, ვიდრე ჩვენთან, განსაკუთრებით ყველაზე გაჭირვებულების, რომლებიც დიაკონიაზე არიან დამოკიდებული. მაგრამ მადლობა ღმერთს, დიაკონური საქმიანობა გრძელდება და თქვენ ოსტატურად და გეგმაზომიერად ართმევთ თავს არსებულ პრობლემებს. უპოვართა სასადილო კვებითი ობიექტების დახურვის პირობებშიც აგრძელებდა ფუნქციონირებას, თქვენ შექმენით ისეთი პირობები, რომელიც დაუბრკოლებლად იძლეოდა საკვების გატანის, პროდუქტების დარიგების, ცხელი სადილის მიტანის საშუალებას რაინერ კაუფმანის რესტორანთან თანამშრომლობით.





3. ზეცირო ნათელო, / მოვლენილო ღმერთისაგან, /  
 გაგვიხსენ გული ლოცვად, / ყურნი სმენად და ბაგენი /

აღბათ რა სირთულეების გადალახვა უწევს შინ მოვლის სამსახურს: საჭირო გახდა ქალაქის სხვადასხვა ბოლოში მცხოვრები ბენეფიციარების დახმარების სტრატეგიის შემუშავება უკრანსპორტობის პირობებში. მერე მათი მოვლა გაძლიერებული ჰიგიენური ნორმების დაცვით, რომლის პირობებშიც რთულია ადამიანური კონტაქტის შენარჩუნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ კარგად გესმით თქვენი საქმის მნიშვნელობა და ადამიანებზე ერთგულად ზრუნვის ფასი. ჩვენი დიდი პატივისცემა დიაკონიის მთელ გუნდს! გისურვებთ, მომავალშიც შეძლოთ ამ დიდი პასუხისმგებლობის ტარება.

სხვათა შორის, გერმანიაში სელე-ს ბევრი მეგობრისგან და შემომწირველისგან გვსმენია, რომ ისინი ძალიან აფასებენ თქვენს აქტიურ სამრევლო ცხოვრებას და დიაკონურ საქმიანობას. იანვარში ქრისტიანების ერთიანობის ლოცვის კვირეული დაიწყო. . . ძალიან შთაბეჭდავი იყო ამ კვირეულის გახსნის ღვთისმახურება, რომელიც თბილისის შერიგების ეკლესიაში შედგა. ასე ვდგებით ერთმანეთის გვერდიგვერდ სინათლის გარშემო, რომელიც გვაერთიანებს და რომელსაც სამყაროს განათება უნდა და შეუძლია. ეს გვაკავშირებს და ერთმანეთთან გვაახლოვებს.

იურგენ ჰელფიგი და  
 ვიზელა ჰელფიგ-მაიერი

## დიაკონია პანდემიის მეორე ტალღის დროს

პანდემიის მეორე ტალღა ზალტეცის სახლის ბინადრებს ჯდა თანამშრომლებსაც შეეხო: ყველა საჭირო ზომის მიუხედავად, კორონავირუსმა მოხუცებულთა თავშესაფარში შეადწია, თუმცა ის უძლური აღმოჩნდა კარგად ორგანიზებული და სინდისიერი თანამშრომლების ძალისხმევის წინაშე და სადღესასწაულო განწყობასაც კერაფერი დააკლო. ღვთის შეწევნით რამდენიმე თანამშრომელმა და ორმა ბინადარმა დაავადება დაძლიეს და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ.

დღესასწაულები ახლოვდებოდა. მიუხედავად სისტემატური PCR-ტესტირებისა, ვირუსის გავრცელების საფრთხე მაინც არსებობდა, რის გამოც გაუმართლებელი იქნებოდა სადღესასწაულო სუფრის მოწყობა. რა უნდა გვექნა? შეშინებულებს ზალტეცის სახლის ბინადრებისთვის დღესასწაულის სიხარული უნდა წაგვეერთმია? გადავწყვიტეთ, ახალი წლის საღამოს პატარა ფურშეტი მოგვეწყო. ფოიეში ტრადიციულად ნაძვის ხე დავდგით, სკამები ერთმანეთისგან დაშორებით დავაწყვეთ და ბინადრებს ვთხოვეთ, პირბადეები გაეკეთებინათ. პასტორმა ვიქტორ მიროშინიჩენკომ მოკლე ლოცვა წაიკითხა, რის შემდეგაც ეპისკოპოსმა მარკუს შოსმა ყველას შობა და მომავალი ახალი წელი მიულოცა. სახლის ბინადრებმა მხიარული საშობაო სიმღერები იმღერეს, მუშხუნები დაანთეს, ერთმანეთს ჯანმრთელობა და მალე პანდემიის დასრულება უსურვეს. სამწუხარო იყო, რომ ვერ გაგმართეთ ტრადიციული საახალწლო სუფრა, მიუხედავად ამისა განწყობა მაინც სადღესასწაულო იყო და განსაკუთრებული სითბო და ურთიერთსიყვარული იგრძნობოდა. ყველამ გამოთქვა პანდემიის მალე დასრულების იმედი, რომ ისევ შევძლოთ სიცოცხლის ზეიმი და ერთმანეთთან ხალისიანი შეხვედრა. მინდა მადლობა ვუთხრა ზალტეცის სახლის ხელმძღვანელს მაია გოცაძეს პანდემიის დროს გაწეული ძალისხმევითვის. მისი მხრიდან სწრაფი რეაგირების და კონტაქტების შეზღუდვისკენ მიმართული ზომების შემოღების გარეშე პანდემიის ტალღას გაუთვალისწინებელი და აგრესიული შედეგები ექნებოდა.

აღნიშვნის ღირსია შინ მოვლის სამსახურის საქმიანობაც, რომელსაც მადონა ურკვევიჩი ხელმძღვანელობს. მის



თანამშრომლებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ და სირთულეების მიუხედავად შინ უწევდნენ დახმარებას ყველა პაციენტს, ვისაც მათი თანადგომა ესაჭიროებოდა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების მერე თანამშრომლებს დიდი მანძილების ფეხით გავლა უწევდათ. მართალია, მათი ერთგული მძღოლი ვოვა ბაღდასაროვი მუდამ მზადყოფნაში იყო, თუმცა მას ერთდროულად რამდენიმე ადგილას ყოფნა არ შეეძლო. და რადგან საქმე არ იცვლიდა, თანამშრომლები ფეხით გაუყვებოდნენ გზას, თან ხუმრობდნენ, ფეხით სიარული სულს ახალისებს და სხეულს აჯანსაღებსო.

ჩვენი დიაკონიის მუშაობა სიბეჯითის და დიდსულოვნების ნათელი მაგალითია. პანდემიის მეორე ტალღამ თანამშრომლები კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთთან და სასიყვარულო ძალები გაუღვივა. ეს დიაკონური საზოგადოების ღირებულების, ჩვენი ეპისკოპოსის მარკუს შოხის დამსახურებაცაა. ჩვენი რეალობა გვაჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ერთმანეთის გვერდში დოგმა, ურთიერთპატივისცემა და დახმარება. საჭირო მომენტში ერთმანეთის თანადგომის უნარი, ღმერთზე მინდობა, შიშის დაძლევა და მოყვასისადმი თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენს დროში ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო თვისებებია. იესო მოგვიწოდებს: **“გიყვარდეთ ერთმანეთი, და როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი”** (იოანე 13:34). ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს!

ელენა ილინეცი

## ბორჯომის მრეველის აქტივობები პანდემიის დროს



**2020** წელი საკმაოდ მძიმე წელი იყო პანდემიის გამო, ძალიან გვიჭირდა მრეველის წევრებთან დაკავშირება უტრანსპორტობისა და ვირუსის პირობებში. თუმცა შეძლებისდაგვარად ვახერხებდით ონლაინ გაკვეთილების ჩატარებას და მრეველის წევრების მონახულებას და დახმარებას პროდუქტებითა და მედიკამენტებით. 2021 წლის დასაწყისში ეკლესიის ხელმძღვანელობის დახმარებით შევიძინეთ კომპიუტერი, რისთვისაც დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ეპისკოპოს მარკუს შოხს და ეკლესიის ხელმძღვანელობას. იანვრის თვეში ეპისკოპოსი ჩამოვიდა ბორჯომში და ერთად დაგურიგეთ მშრალი პროდუქტი მრეველის თოთხმეტ წევრს. მათი ოჯახები სიღარიბეში ცხოვრობენ და ყოველ თვიურად ესაჭიროებათ დახმარება.

საშობაო ზეიმი ჩავატარეთ სოფელ ჭობისხევში და ქალაქ ბორჯომში და 30 ბავშვს გადავეცით საახალწლო საჩუქრები. ბორჯომის რაიონში სწავლა გრძელდება საჯარო სკოლებში, ამიტომ გადავწყვიტეთ საკვირაო სკოლის გაკვეთილები ჩავატაროთ ჩვეულებრივი ფიზიკური დასწრებით. უკვე ჩავატარეთ სამი გაკვეთილი. 23 იანვარს ბავშვები გავახარეთ ტკბილეულით და საკვირაო სკოლისთვის შევიძინეთ საკანცელარიო ნივთები.

რეგინა ღონდაძე, ბორჯომის მრეველის წევრი



## კორონა და ქრისტიანული მრევლი

ღარწმუნებული ვარ, რომ ის სურვილები, რომლებიც საშობაოდ თუ ახალი წლისთვის ვუსურვეთ ერთმანეთს - წერილობით და სიტყვიერად, ტელეფონით და ვიდეოთი - განსაკუთრებით გულწრფელი იყო. ერთმანეთზე ზრუნვა ცხადი გახდა. სიტყვებით “შეგვეწიოს!” იმის თქმა გვინდოდა, რომ ღმერთი, როგორც ჩვენი შემწე ჩვენს ხიფათით სავსე ცხოვრებაში და საზოგადოებაში უნდა შემოვიყვანოთ, სადაც მის გარეშე უძწეოდ ვგრძნობთ თავს. პანდემიამ მკაფიოდ დაგვანახა ჩვენს ცხოვრებაში არსებული გაურკვეველობები. და სანამ საზოგადოება და სახელმწიფო იმის ძიებაშია, რაც ჯერ კიდევ გარკვეული ჩანს და ადამიანებს შორის დისტანცია იზრდება, ქრისტიანული მრევლი ცხადად ხედავს თავის განსაკუთრებულობას. ის სიმშვიდეს პოვებს იმის რწმენაში, რომ ღმერთი მასთან არის და ამ რწმენით მას ეძლევა ურთიერთდახმარების და იმ მეზობლებსა და ახლობლებზე ზრუნვის ძალა, რომლებიც თავს კარგად არ გრძნობენ. “მიანდეთ მას თქვენი ყველა საზრუნავი, რადგან ის ზრუნავს თქვენზე” (1. პეტრე 5, 7). “თქვენ” პირველ რიგში თითოეულს და ცალკეულ ადამიანს კი არ გულისხმობს, არამედ მრევლს. პეტრე მოციქული აქ ერთმანეთისთვის მოქმედების ძალაზე და თავისუფლებაზე საუბრობს.

პანდემია მეორე წელია, არსებობს. ჩვენ, მრევლმაც დავაგროვეთ გამოცდილება და შეგვიძლია იმის თქმა, რომ კრიზისის გადატანა და სხვების დახმარება უფრო გვიადვილდება, რადგან ღმერთს ვართ მინდობილი. როგორც მარტინ ლუთერის დილის კურთხევაშია ნათქვამი: “მოგანდობ ჩემს თავს, სხეულსა და სულს შენს ხელებში”. გვეხმარება ეს? გვაქვს მრევლს ამაზე საერთო პასუხი? თუ ეს მართალია, რისიც მჯერა, მაშინ ჩვენ, როგორც მრევლი და ქრისტიანული სამრევლოები ამ საყოველთაო გაჭირვებაში უფრო გავძლიერდით.

ზოგიერთს, მათ შორის მეც, დაგვაკლდა ეკლესიის მყარი და ძლიერი პოზიცია ამ მომაკვდინებელ ვირუსთან დაკავშირებით, რომელმაც დღემდე 1,5 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გერმანიის ეკლესია შეშინებული მომეჩვენა, მან სამრევლოებს საჭიროზე სწრაფად მოუწოდა, უარი ეთქვა ღვთისმსახურებების ჩატარებაზე. შეიძლება სწორი იყო და სწორია – ადრეული ხანისგან განსხვავებით, როდესაც მქადაგებლები ადამიანებს მონანიებისკენ და ღმერთთან მოქცევისკენ მოუწოდებდნენ – რომ ეკლესიამ დაინახა თავისი განსაკუთრებული როლი, უარი თქვა საჯარო გამოსვლებზე და ადგილი დაიკავა დაზარალებულებსა და უმწუოებს შორის, რომლებიც ღმერთის განსაკუთრებულ ძალას თავიანთ სამრევლოებში ეძებენ.

ბევრმა საქართველოს და გერმანიის სამრევლოებში იპოვა ძალა, მათ შორის იმ ადამიანებმაც, რომლებსაც ამაზე არასოდეს ჰქონდათ ნაფიქრი და დაფიქრებაც არ უწევდათ. კომპიუტერის მოყვარულები ღვთის სიტყვის გამავრცელებლად იქცნენ და მრევლის ხანდაზმულ წევრებს, რომლებიც ეკლესიის დარბაზში დიდი ხანია, ვეღარ მოდიოდნენ, ღვთის სიტყვა სახლში მისდიოდათ, სტუმრად მისულ შვილიშვილებს ნოუთბუქით მიჰქონდათ მათთან. ამ და სხვა გზებით მნიშვნელოვანი იყო და დღემდე არის, რომ ჩვენ ერთმანეთზე ვფიქრობთ და ამას ერთმანეთს ვაგრძნობინებთ. ვზრუნავთ ერთმანეთთან შეხვედრაზე, რადგან შეხვედრები უშვალოდ აღარ ხდება. ჩვენი სურვილი, რომ ყველაფერი ძველებურად აღდგეს – თუმცა ეს ყოველთვის კარგი როდი იყო – ღმერთამდე მიტანილი ზოგჯერ სხვაგვარად შეისმინება და შეიგრძნობა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ეს განსაკუთრებით ჩვენს დროს ეხება.



ჰანს-იოანიმ კიდერლენი

## უხეპლრები ბაქოს კონსერვატორიაში

**2020** წლის 3 დეკემბერს ბაქოს კონსერვატორიას ბერლინის სამხარეო ეკლესიის მუსიკალური ღირეპტორის პროფესორ დოქ. გიუნტერ კენელის საჩუქრები გადავეცი, რომელიც საელჩოს ფოსტით ჩამოვიდა. ის წინა დღეს ბაქოში გერმანიის ელჩმა დოქ. მანიგმა გადმომცა.

ბაქოს კონსერვატორია კომპოზიტორისა და კონსერვატორიის პროფესორის იზეირ ჰაჯიბეილის (1885-1948) სახელს ატარებს. ის თანამედროვე აზერბაიჯანული მუსიკისა და ოპერის ფუძემდებლად ითვლება, რომელიც აღმოსავლური და დასავლური მუსიკის სინთეზს წარმოადგენს. ჰაჯიბეილის ეკუთვნის პირველი მუსლიმური ოპერის “ლეილისა და მეჯნუნის” (“რომელს და ჯუღლიეტას” ისტორია) უღამაზესი მუსიკა. მე წილად მხვდა მისი ბაქოს ოპერაში მოსმენის ბედნიერება.

ჩვენს კონსერვატორიაში საორღანო მუსიკაც ისწავლება, რაც მუსლიმური სამყაროსთვის განსაკუთრებული მოვლენაა. აქ უნდა გავისხენოთ ზაჰრა ჰუსეინ გიზი ჯაფაროვა (1924-2005), რომელმაც სანქტ-პეტერბურგის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ბაქოში საორღანო მუსიკის კლასი ჩამოაყალიბა და 100-ზე მეტი ორღანისტი გამოზარდა.

საორღანო მუსიკის შესწავლის თავისებურება ბაქოში იმაში მდგომარეობს, რომ აქ ისწავლება საორღანო ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენენ აღმოსავლური და დასავლური მუსიკის სიმბიოზს. ერთხელ აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ყარა ყარაევის (1918-1982) ნაწარმოების საორღანო ვერსია მოვისმინე, შექმნილი დიდი სპარსელ-აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამის (1141-1209) ნაწარმოებზე “შვიდი მშვენიერება”; მას გოეთეც კი იცნობდა. ეს ნაწარმოები ჩვენმა ორღანისტმა კვირას დაუკრა, რამაც ჩვენი მრეველის და პირადად ჩემი დიდი მოწონება დაიმსახურა. ის, რა თქმა უნდა, იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებებსაც ასრულებს. და აქ ჩვენი სტატიის თემას მივაღქვით.

ჩვენი ლუთერული მაცხოვრის ეკლესიის შენობა, რომელშიც დღეთისმსახურებებს ვატარებთ, დღეს ფილარმონიის საორღანო მუსიკის დარბაზს წარმოადგენს ავსტრიული ფირმის ლიეკერ-ჩლოსს-ის ორღანით. კონსერვატორიის მხრიდან



შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორები რასიმა ბაბიევა – კონსერვატორიის კონცერტმეისტერი და ნელი აბუთიძე – ორღანის და ჩემბალოს პედაგოგი, ასევე სტუდენტი გულბაჯი მურადოვა. თბილი შეხვედრა გამოვიდა. ჩვენ ვასულ წელს ჩატარებული საორღანო მუსიკის ორი კონცერტიდან ვიცნობდით ერთმანეთს. სამეცადინო ორღანის ოთახში ვიმყოფებოდით, სადაც იოჰან სებასტიან ბახის სურათი კილია. კონსერვატორიასაც აქვს დარბაზი ორღანით. ფოტოებიდანაც კარგად ჩანს, რომ დიდი სიხარული სუფევდა.

როგორ მოხდა ეს ყველაფერი? 2019 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ეკლესიაში საორღანო მუსიკის ორი კონცერტი ჩავატარეთ, რომლებიც ჩვენი მრევლის ცხოვრებაში უდიდეს მოვლენად იქცა. ასრულებდნენ სამხარეო ეკლესიის მუსიკალური დირექტორები: მათიას ჰანკე შტუტგარტიდან და პროფესორი გიუნტერ კენელი ბერლინიდან. კონცერტები ბაქოს კონსერვატორიის საორღანო მუსიკის პირველი ფესტივალის ფარგლებში გაიმართა და მათ ძალიან ბევრი მსმენელი დაესწრო, მათ შორის ახალგაზრდებიც. ჩვენი სამრევლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ბაქოს მუსიკალურ ცხოვრებაში ჩართვა. კონცერტები გოეთეს ცენტრის და მისი ხელმძღვანელის ალფონს ჰუგის დაფინანსებით და ორგანიზებით და კონსერვატორიის და ჩვენი სამრევლოს თანამშრომლობით ჩატარდა. კონსერვატორიასთან თანამშრომლობა მასტერკლასით გაღრმავდა, რომელიც პროფესორმა კენელმა ჩაატარა. კონტაქტი შემდგომაც შენარჩუნდა და პროფესორმა კენელმა კონსერვატორიას თავისი სტუდენტებისთვის “იოჰან სებასტიან ბახის საორღანო ნაწარმოებების ახალი გამოცემა” აჩუქა, რომლის გადაცემის პატივიც მე მხვდა წილად. პროფესორ კენელს უნდა, ჩვენი ორღანისტის ნიგარ მამადოვას ოსტატობის განვითარებაზე იზრუნოს.

როდესაც პროფესორ კენელს კონსერვატორიაში გამართული შეხვედრის ფოტოები ვაჩვენე, მან მომწერა: “ჩემი ბაქოში ყოფნიდან ერთი წელი გავიდა – მას შემდეგ იმდენი რამ მოხდა, თითქოს სხვა სამყაროში ვიმყოფებით. ამიტომ ორმაგად მოხარული ვარ, რომ ამ არათანმიმდევრულ დროებაში თანმიმდევრულობაც არსებობს, რომ “ძველ დროში” დაპირებული ნოტები მართლაც უვნებლად ჩამოვიდა და თავისი მიზნის შესრულებას შეძლებს. ვგრძნობ, რომ შარშანდელი ვიზიტი კიდევ მრავალ ნაყოფს მოიტანს. . .”

იმედი გვქონდეს, რომ ჩვენი ცხოვრება მალე დაუბრუნდება ჩვეულ რიტმს და ისევ შესაძლებელი გახდება საორღანო მუსიკის კონცერტების ჩატარება. კონსერვატორიამ მომდევნო ფესტივალზე ფიქრი უკვე დაიწყო. ბოლოს ორიოდ სიტყვა მუსიკის სასწაულზე: მე-18-ე საუკუნის ორღანის წარწერაში ნათქვამია: “მხოლოდ მუსიკა მოგვშენდს ცრემლებს, როცა სხვა ველარაფერი გიშველის.”

პასტორი ვოტჰარდ ლემკე, ბაქო

## სეპლიანი სახლი, როგორც თბილისს აშუშენებს

ჩემი პირველი შეხება არქიტექტურასთან ალბათ მაშინ მოხდა, როდესაც 24-ე სკოლიდან მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავიწყე სიარული. იმ წლებში მოზარდ მაყურებელთა თეატრი განლაგებული იყო დღევანდელი პანტომიმების თეატრის შენობაში, ეგრეთ წოდებული „მელიქ აზარიანცის სახლის“ პირველ სართულზე, რომელსაც დღემდე ასე მოიხსენიებს ბევრი თბილისელი. ამ სახლის მფლობელი, მელიქ აზარიანცი მაშინდელი ტიფლისის მეწარმე და მილიონერი ყოფილა. სტუდენტობის დროსაც ხშირად მოვხვედრილვარ ამ ადგილებში, მის უკან ხომ ჩვენი ბიჭებისა და გოგონების საყვარელი კაფე “მეტრო” გვეგულებოდა.

თუ „მელიქ აზარიანცის სახლს“ კარგად დავაკვირდებით, შენობას მარცხენა ფრთა ელბაქიდის აღმართის მხრიდან მომრგვალებული აქვს, ხოლო მარჯვენა, ყოფილი სასტუმრო „ივერიის“ მხრიდან - არა. რატომ? - იმ დროს, როცა ბატონ მელიქს მშენებლობა დაუწყია, დაუმთავრებელ მხარეს ერთ მეწადეს (თბილისურად რომ ვთქვათ, საპოჟნიკს) სახელოსნო

ანუ ჩვენებურად 'ბუდეკა' ჰქონია. მელიქს რამდენი არ უცდია, უთხოვნი, დიდძალი ფულიც უძღვევია, მაგრამ მშენებარე სახლისთვის ადგილის დათმობაზე ვერაფრით ვერ დაუთანხმებია. მეწადეს მიზეზად ეს სიტყვები მოუხსენებია: "აქედან ჩემს ტიფლის ქალაქს კარგა ვუყურებო". ვერც სასამართლოთი მიაღწია რაიმეს ჩვენმა მილიონერმა. მოკლედ რომ ვთქვათ, სახლის მშენებლობა მალევე დაუმთავრებია მოუმრგვალებელი კუთხით. თუმცა, თქვენც დამეთანხმებით, სახლი მაინც ძალიან ლამაზი გამოსულა. სახლის დამთავრებისას აზარიანცს დიდი უბედურება დასტყდომია თავს: უსაყვარლესი ერთადერთი ქალიშვილი გარდაცვლია. ამიტომაც სახლს გარშემო სამგლოვიარო გვირგვინები აკრავს ქალიშვილის ხსოვნის სამახსოვროდ. არ მინდა, ამ სევდიან ტონალობაში დავასრულო ამ კაცის ისტორია და არ მოგიყვებთ ის საოცარი თავგადასავალი, რაც მას გადახდა. ეს არის ისტორია, რომელიც ჩემმა ბებიამ სუსანა გვირგვინა საგალოვა-ზეცმა ძალიან დიდი ხნის წინათ მომიყვა.

როცა მელიქ აზარიანცს ქალაქ ტიფლისში დიდი ფული უშოვნია, გადაუწყვეტია სანქტ-პეტერბურგში გამგზავრება. ამოუჩემებია, გინდა თუ არა, იმპერატორი უნდა ვნახო. კაციშვილს ვერ გაუგია, რატომ ან რისთვის. აზარიანცს მოუნახავს თავისივე ჭკუის მეგობარი, ზუსტად არ მახსოვს, მგონი მეორე მილიონერი თამამშევი და ქალაქ ტიფლისის ვაგზლიდან რუსეთის იმპერიის დედაქალაქში გამგზავრებულა. დიდხანს უმგზავრიათ და ბოლოს და ბოლოს სანქტ-პეტერბურგში ჩაბრძანებულან.

ეს ჩვენი თბილისელი სომხები მისულან ზამთრის სასახლეში, მაგრამ იმპერატორი იქ არ დახვედრიათ. მისი უმაღლესობა საზაფხულოდ თავის „ცარსცკოე სელოში“ გამგზავრებულა. რას იზამდნენ, ხარჯი ხარჯიანო, უფიქრიათ ჩვენ თბილისელებს და ისინიც იქითკენ გამგზავრებულან. მარტო კი არ გამგზავრებულან, იმდენი მოუხერხებიათ, რომ მეორე დილით, ასე 12 საათისთვის სუფრასთან საუზმეზეც მსხდარან. რასაკვირველია, სუფრის ბოლოში. სხედან თურმე ასე ყურებ-ჩამოყრილები, არავინ იცის, რატომ, რისთვის, საიდან გაჩნდა ეს ორი - სუფრას კი ერთი კისკის-ხარხარი გაუდის, ყველა მხიარულობს, იცინის, ყველა კარგ ხასიათზეა. თვით იმპერატორიც იღიმება. დღე საოცრად მშვენიერია. მზე ანათებს, რაც ასე იშვიათია იმ მხარეში. აქეთ თავადის ასულები, იქით სამხედრო ფორმაში გამოწყობილი თავად-აზნაურები. მოკლედ,



დიდ მხიარულებაშია იმპერიის უმაღლესი საზოგადოება. სუფრა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ერთ თავადის ასულს მიუმართავს იმპერატორ ნიკოლოზისთვის: „ჩემო ნიკი, დღეს ხომ მშვენიერი დარია. ნახეთ, თქვენო აღმატებულება, მზე როგორ კაშკაშებს“. ქალბატონს არ ჰქონია წინადადება დამთავრებული, მელიქა წამოდგარა, კი არ წამომდგარა და სკამიდან წამოჭრილა, თითქოს, მთელი ეს დღე იმ წუთს ელოდებოდა და ქალბატონისთვის მიუმართავს: „მადამ“, შემდეგ იმპერატორისკენ მიბრუნებული და გაუგრძელებია: „თქვენო აღმატებულება, კარგი

დარი კი გვიდგას, მაგრამ შემიძლია დაგენიძლავოთ, რომ ზუსტად ერთ საათში გაწვიმდება“. „რას ბრძანებთ, ბატონო, მთელი გალუბნიკი, ვი აშიბაეტეს“ - უთქვამს იმპერატორს. „არა, ვერ დაგეთანხმებით, თქვენო ბრწყინვალება“ - თავისაზე იდგა მელიქა. და აი, აქ წარმოთქვა ახარიანცმა საოცარი რამ: „თქვენო აღმატებულება, ნუ ჩამითვლით კანდიერებაში, გნებავთ ნიძლავი?“ ნიკოლოზს ჩასცინებია: „რამდენი?“ - უკითხავს. „მილიონ, ვაშე ბლაგაროდიე“ - გაუგრძელებია მელიქას. „მილიონ ტაკ მილიონ“ - უპასუხია იმპერატორს. ამით საუზმეც დამთავრებულია. ყველანი სწრაფად დაშლილან.

გასულა საკმარ დრო, მთელი დღის გართობით დაღლილი სტუმრები მსახურებს საუზმეზე მიუწვევიათ. სწორედ იმ დროს, როდესაც ჩაი, ყავა და ნამცხვრები ჩამოუტარებიათ, იგივე ქალბატონს გახსენებია: „ნიკი ტი მილიონერ, ნიკაკოვა დოჟდია ნე ბილო“. მქუხარე ტაში ატყდა, „პადხალიმებს“ რა გამოლევდა. მელიქა და მისი მეგობარი დინჯად წამომდგარან, ოთხი საკვოიაჟი ნაღდი ფული ოთხ ლანგარზე მსახურებისთვის გადმოუცვლიათ და იმპერატორისთვის მიურთმევიათ: „ინებეთ, იმპერატორო“ და ამ სიტყვებით, თავის დახრით სუფრა მოწიწებით დაუტოვებიათ, ალბათ სევდიანებს. მილიონი ხომ მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი ფული იყო. კამერდინერს,

ვისთანაც მეფის სუფრაზე მოხვედრის საქმე ჩაუწყვიათ, დატოვებისას უკითხავს: “ჩტო ვი რადუეტეს, ღურაკი, დღია ეტოგო პრიეხალი, ჩტობი პროიგრატ მილიონ? ნუ კავკაზცი“. აზარიანცს გაუცინია და უთქვამს: “გალუბნიკ მოი, მი ჩტო ბილი მილიონერი, ზნალი ტოლკო ვ ტიფლისე. ა ზავტრა ვსია რასიისკაია იმპერია ბუდეტ ზნატ, ჩტო ვ გოროდე ტიფლისე უივუტ დვა მილიონერა, კოტორიე ტაკ სვაბოდნა კიდაიუტსა მილიონამი“.

აბა,ბედნიერადჩემო მკითხველო,უფლის მშვიდობა ყოფილიყოს შენზე. მომავალ შეხვედრამდე!

თემური ბარდაველიძე

## **გულოცავთ იუბილუს!**

**მრგვალ იუბილეს გულოცავთ  
ჩვენს ძვირფას ნონა ელოეფას,  
რომელიც 80 წლის გახდა!**

**ნონა ელოეფა** 2000 წლიდან დადის ჩვენს ეკლესიაში. მან კონფირმაცია პასტორ ჰარი აზიკოვთან გაიარა და მრევლის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი გახდა. ლუთერული ეკლესია მასთან სულიერად ისე ახლოს იდგა და იმდენად იზიდავდა, რომ ქალბატონი ნონა ნებისმიერ ამინდში ყოველ კვირა დღეს მოდიოდა ღვთისმსახურებაზე, ხშირად რამდენჯერმე გადაჯდომაც კი უწყევდა. ეკლესიის გვერდით, ზალტეცის სახლში გადმოსვლის შემდეგ ის დაუბრკოლებლად დადის ღვთისმსახურებებზე და აქტიურად არის ჩართული მათ მსვლელობაში. ნონას დაპატიუებაც არ სჭირდება, ის ღვთისმსახურების დაწყებისთვის მუდამ დროულად მოდის. ჩვენი პასტორები დიდი სიამოვნებით მიმართავენ მას ღვთისმსახურების დროს ლიტურგიული თუ ბიბლიური ტექსტების ქართულად წაკითხვის თხოვნით. ნონამ მთელი ლიტურგიული ტექსტები ზეპირად იცის და რუდუნებით წარმოთქვამს მათ. ასევე გრძნობით და მონღომებით კითხულობს ის ბიბლიის ტექსტებს. ნონა ღრმად მორწმუნე ადამიანია. ამაზე მეტყველებს როგორც მისი არაჩვეულებრივი სასულიერო სტატიები, რომლებიც





წლების მანძილზე „საეკლესიო მაცნეში“ დაიბეჭდა, ისე მისი გამოსვლები საეკლესიო ღონისძიებებზე. შეიძლება ითქვას, რომ ნონა „საეკლესიო მაცნეს“ უშტატო თანამშრომელია და ჩვენ მისი ძალიან მადლიერი ვართ ქართული ტექსტების რედაქტირებისთვის. ნონა იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა სული ეკლესიაზე და დიაკონიაზე ზრუნავს. ნეტა ბევრი ასეთი ადამიანი გვყავდეს!

ძვირფასო ნონა, გისურვებთ ღვთის კურთხევას, ხანგრძლივ აქტიურ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კეთილმეგობრულ ურთიერთობებს.

პასტორი ირინა სოლეი, ელენა ილინეცი

---

**ჩვენს საყვარელ ელენა მანუკოვას**  
მთელი გულით ვულოცავთ მრგვალ იუბილეს!

---

ხშირად გვეხმის სიტყვები: „ღმერთი გვარჩევს მსახურებისთვის. ის მიგვიძღვება და ძალას გვაძლევს“. ეს სიტყვები თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს საყვარელ ელენასთან მიმართებაში.

**ელენა მანუკოვა** ჩვენს ეკლესიაში დიდი ხნის წინ მოვიდა. ნეტა როცა მისმა ქალიშვილებმა იანამ და ილონამ ეპისკოპოს პროფესორ გერტ ჰუმელთან კონფირმაცია გაიარეს, თუ წარმოდგენდა ელენა, რომ ერთ დღესაც ის ჩვენს ეკლესიაში ასეთი მნიშვნელოვანი ადამიანი გახდებოდა? რა თქმა უნდა, ვერა!

ის მოკრძალებულად დადიოდა ღვთისმსახურებებზე, სხვებზე წინ არ აყენებდა თავს, არც სხვების გვერდზე გაწევას და საკუთარი თავის წარმოჩენას ცდილობდა. ელენას სურვილი იყო, საკუთარი წვლილი შეეტანა მრევლის ცხოვრებაში, საკუთარი პოზიცია გააჩნდა და მოთმინებით და დამაჯერებლად იცავდა საკუთარ მოსაზრებას, ამასთან არავის აწყენინებდა და არც შეურაცხყოფას მიაყენებდა. მრევლი აფასებდა მის პრინციპულობას და ის ჯერ სამრევლო საბჭოს წევრად აირჩია, მოგვიანებით სამრევლო საბჭოს თავმჯდომარედ და ბოლოს ელენა სინოდის წევრი გახდა. ასე მოუხმო მას ღმერთმა ჩვენს ეკლესიაში მნიშვნელოვანი მსახურებისთვის და ის დღემდე საკუთარი მხრებით დაატარებს ამ არც თუ ისე მსუბუქ ტვირთს ღირსეულად.

აღნანიშნავია ისიც, რომ ელენა მანუკოვა დაარსების დღიდან საეკლესიო გუნდის წევრია და მისი ხმა არაჩვეულებრივი ჟღერადობით დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. განსაკუთრებით დასაფასებელია ელენას პირდაპირობა და მისი მხრიდან მრევლის ინტერესების ღირსეულად დაცვა. მისი მოვალეობაა, ბევრ განსხვავებულ ადამიანს ეკონტაქტოს, ამიტომ ის ხშირად იმკის მადლიერებას, მაგრამ ასევე განაწყენებულ, უხეშ სიტყვებსაც კი. ელენა მაინც ახერხებს სიმშვიდის შენარჩუნებას და ყველას გულის მოგებას ცდილობს, ამასთან მოთმინებით განუმარტავს მათ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, ცდილობს მათ დარწმუნებას და შეძლებისდაგვარად მრევლის დახმარებას.

საყვარელო ელენა! შენ არაჩვეულებრივი ადამიანი და მზრუნველი დედა და ბებია ხარ. იყავი მუდამ ასეთი! ღმერთი იყოს შენი მფარველი! დაე, ღმერთმა გააკურთხოს და მოგცეს ძალა შენი არც თუ ისე მარტივი მსახურებისთვის.

პასტორი ირინა სოლეი, ელენა ილინეცი



## ЛОЗУНГ 2021 ГОДА:

«ИТАК БУДЬТЕ МИЛОСЕРДНЫ,  
КАК И ОТЕЦ ВАШ МИЛОСЕРДЕН»

*Евангелие от Луки 6:36*

**Н**овый год наступил уже несколько недель назад. Прошедший 2020 год был необычным годом. И новый, 2021 год, вероятно, тоже будет необычным. Время наступления нового года – это время раздумий. Мы оглядываемся на то, что было. И в то же время, смотрим вперёд на то новое, что нас ожидает. В этом нам поможет текст хораля, который находится в нашем песеннике. Его написал Йохен Клеппер – силезский теолог, журналист, писатель и поэт. Он родился в 1903 году в Нижней Силезии, затем жил в Бреслау и Берлине, где и умер в 1942 году.

Стихотворение Йохена Клеппера «Все времена в руке Твоей» впервые появилось 1 января 1938 года под заголовком «Новогодняя песня» в одной из берлинских газет. В этом стихотворении он еще раз оглядывался на минувший год и говорил о его тяготах. Он говорил об этом неспроста. Тогда Йохен Клеппер подвергался всё более усиливающимся репрессиям, в первую очередь, из-за своего брака с Иоганной Штайн, происходившей из еврейской семьи. Вследствие этого он был в 1937 году исключён из Литературной палаты Рейха, что практически означало запрет на профессию и в дальнейшем безработицу. Его собственное будущее и будущее его семьи были более чем неопределёнными. Несмотря на все тяготы, несмотря на всю неопределённость, Йохен Клеппер все равно был уверен: есть Бог, который держит все времена в Своих руках, как об этом говорится в Псалме 30 (15.16а): «*А я на тебя, Господи, уповаю; я говорю: Ты – мой Бог. В Твоей руке дни мои.*».

*1. Все времена в руке Твоей, / возьми и  
тяжесть этих дней, / чтоб благость мы  
узрели. / Ты во Христе открыл нам путь,  
/ Дай сил идти и не свернуть, / Достичь  
заветной цели.*



Насколько хрупка и уязвима наша жизнь, мы все испытали и прочувствовали в прошлом году. Многое из того, что нам прежде казалось само собой разумеющимся, стало вдруг невозможным. Мы строили планы, многое предполагали осуществить и думали, что всё по-прежнему будет идти так, как мы привыкли. И вдруг мы заметили: на этой земле нет ничего неизменного. Всё подвергается постоянным изменениям. То, что вчера казалось твёрдым и неизблемым, сегодня уже устарело и прошло. Всё меняется, подобно тому, как мы меняем старые платья. Итак, наша земля и всё, что находится на ней, преходяще и подвержено изменениям. В Псалме 101 (256-28) говорится: *«Боже мой! Твои лета в роды родов. В начале Ты основал землю, и небеса – дело Твоих рук. Они погибнут, а Ты пребудешь; и все они, как риза, обветшают, и, как одежду, Ты переменишь их, – и изменятся. Но Ты – тот же, и лета Твои не кончатся».*

*2. Пред взором все Твоим вовек, / И всё, что начал человек, / Ты заверши прекрасно. / Ведь годы, данные Тобой, / Без милости Твоей святой / Мы проведем напрасно.*

*3. Кто пред Тобою устоит? / Мирское всё тотчас сгорит, / Лишь Ты – единый, вечный. / И дольше века Божий день, / Верни ж к Себе влекомых в тень, / Не дай пропасть беспечно.*

Всё меняется, всё преходяще. Мы, люди, поняли, что, если мы полагаемся только на свои собственные силы, на то, что мы сами творим и чего сами достигли, то мы далеко не уйдём. Если бы только в этом заключалось всё, что ценно и от чего всё зависит, то мы быстро пришли бы к концу. В конце концов, мы зачастую всё равно стоим с пустыми руками. Однако, жизнь человека – это не только сумма его достижений. Жизнь человека, прежде всего, – это подарок, дар Божий. Бог дает нам жизнь. Это Его милосердие и Его благословение, которые позволяют нашей жизни расти и процветать и которые придают нашей жизни значимость и достоинство. Йохен Клеппер пишет в своем стихотворении:

*4. О сроках не дано нам знать, / Но можем мы одно сказать:/ В Тебе нет измененья. / Велик Твой гнев, но вслед за ним / Потоком щедрым и живым / Текут благословенья.*

И эти дары, Божье милосердие должны стать «ценностью и мериллом» нашей земной жизни, как об этом пишет далее Йохен Клеппер. В конце концов, именно милосердием Божьим мы все живём. Наверно, нам нужны эти потрясения, когда у нас отнимается

многое из того, что нам было раньше дорого и близко, чтобы мы поняли, от чего в действительности зависит всё в жизни. Это не то, что мы имеем, а то, что мы получаем и что мы отдаем другим. Лозунг нового 2021 года как раз даёт нам такое направление. Он взят из Евангелия от Луки и звучит так: **«Итак будьте милосердны, как и Отец ваш милосерден»**. Милосердие, которое мы получаем от Бога и которое поддерживает и защищает нас в жизни, мы можем и должны отдавать другим людям.

